

კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების მშობლებთან მუშაობის
მეთოდების დახვეწა

მედეა კუპრაძე

*სამაგისტრონაშრომიწარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მედეა კუპრაძე ----- 26.06.2017

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მშობლის აღზრდის სტილის მეთოდები, თავისებურებები და მისი გავლენა ბავშვის განვითარებასა და ქცევაზე. ნაშრომი, ასევე მოიცავს კვლევას, რომლის მიზანია, შეისწავლოს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების მშობლების მიერ გამოყენებული აღზრდის სტილები ვალიდური ინსტრუმენტის (აღზრდის სტილის განზომილებები - PDI) გამოყენებით, რომელიც შემუშავებულია დ. უზნაძის ფსიქოლოგიური ინსტიტუტის მიერ და დამხმარე იქნება დახვეწოს პრობაციის ეროვნული სააგენტოში, სოციალური მუშაკის მუშაობის მეთოდები კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მშობლებთან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკითხები:

- კვლევაში მონაწილე 30 რესპოდენტიდან 16-ის მშობელიარის განქორწინებული, შესაბამისად დარღვეულია ოჯახის სტრუქტურა და ურთიერთობები;
- მშობლების მიერ ნაკლებად ხორციელდება ქცევის კონტროლი;
- მშობლებს არ აქვთ შემუშავებული გარკვეული წესები, რომელსაც უნდა დაემორჩილოს მოზარდი;
- აღზრდის დროს მშობლები არ ახდენენ მოზარდების ავტონომიის მხარდაჭერას;
- მშობლების მიერ არ ხდება ზედამხედველობა თუ როგორ იქცევა მოზარდი გარეთ;
- არ უწევს დახმარებას აირჩიონ მოზარდებმა თავიანთი მიმართულება ცხოვრებაში.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია რათა შემდეგ ძირითადი კონსტრუქტები (მხარდაჭერა, ქცევის კონტროლი, ფსიქოლოგიური კონტროლი და ავტონომიური მხარდაჭერა), რომელიც წარმოადგენს აღზრდის სტილის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს გამოყენებული იქნება სამომავლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების მშობლებთან მუშაობისას. მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან მუშაობისას სოციალურმა მუშაკმა იმუშაოს სარეაბილიტაციო მიმართულებით მათ მშობლებთან, რადგან დანაშაულებრივი ქმედების

განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მშობლებთან არსებული ურთიერთობაა.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: აღზრდის სტილი, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი, მშობელი, რეაბილიტაცია, სოციალური მუშაკი, „დ. უზნაძის ფსიქოლოგიური ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებული ვალიდური ინსტრუმენტი.

Abstract

The present work reviews with the methods and characteristics of the parenting style, its impact on the child's development and behavior. The study also includes a research aiming to study the upbringing styles used by parents of juveniles in conflict with the law using Parenting Dimensions Inventory (PDI), developed by D. Uznadze Psychological Institute in order to refine the methods of social worker's services in National Probation Agency, for the parents of juveniles who have an experience of crime commitment or have criminal behavior.

The study has revealed important issues:

- The parent of 16 out of the 30 respondents in the conflict with the law participating in the research is divorced, accordingly the family structure is violated;
- Behavioral control is rarely applied by parents;
- The weakness of behavioral control largely happens from fathers;
- Parents do not have specific rules that should be obeyed by adolescent;
- Parental supervision of teenager behavior out of home, is not implemented;
- Parents do not support adolescents' autonomy during their upbringing;
- Parents do not help their teenagers choose their direction in life.

The results of the research are important to make the following major structures (support, behavior control, psychological control, and autonomous support) that are the main factors that determine the upbringing style will be used when working with the parents of juveniles who have conflict with the law. It is important to work with juveniles in conflict with the law, and the social worker should also implement a rehabilitation work with their parents because one of the most important factors and sometimes causing reason of the crime commitment is the lack of relationship with the parents.

The main search words are: upbringing style, juvenile in conflict with the law, parent, rehabilitation, social worker, a valuable tool developed by "D. Uznadze Psychological Institute".